ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 02 მარტის ბრძანებით
შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

ქ. ტყიბული **11 აგვისტო 2026 წელი**

2026 წლის 11 აგვისტოს 14 საათზე ჩატარდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას უძღვებოდა დავით კუბლაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

ლევან ჩხიკვაძე - მერის პირველი მოადგილე, თანათავმჯდომარე;

მურმან ვერულაშვილი -მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თეიმურაზ ცქიფურიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;

მანული გაბრიჭიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტირების სკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ჯონდო ქასრაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო წევრი;

კახაბერ ბოჭორიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

პაატა ბოჭორიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯამრთელობის, სოციალური მხარდაჭერის და ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვახტანგი გვენეტაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ოლეგი ქარქაშაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

გვანცა ბოჭორიშვილი - კულტურის, განათლების, ტურიზმის და სპორტის მხარდაჭერის სამსახური;

უჩა ჩიტიძე - მერის თანაშემწე საერთაშორისო და საგრანტო პროექტების მოძიების და ადმინისტრირების მიმართულებით, სამუშაო ჯგუფის წევრი;

რევაზი ყვავაძე - მერის თანაშემწე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციული მუშაობის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

გრიგოლ ჩიხლაძე - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მოწვევით, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა: სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2027-2030 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) შედეგების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი თეიმურაზ ცქიფურიშვილი.

დავით კუბლაშვილმა კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე, დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ტყიბულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი და ზღვრული მოცულობები. ამასთან ერთად აღინიშნა, რომ დამატებითი რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2027-2030 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე დავით კუბლაშვილმა სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს, კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2027-2030 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, **სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა:**

- მოწონებული იქნას ტყიბულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში;
- საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით, ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდეგ, პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებსა და ა(ა)იპ-ებისათვის საბიუჯეტო განაცხადის ფორმების გაგზავნა;
- პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა და ა(ა)იპ-ებმა მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყონ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმების წარდგენა მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობების ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, დავით კუბლაშვილმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე : /დავით კუბლაშვილი/

სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე: /ლევანი ჩხიკვაძე/

სამუშაო ჯგუფის წევრები: /მურმან ვერულაშვილი/

/თეიმურაზ ცქიფურიშვილი/

/მანული გაბრიჭიძე/

/ ჯონდო ქასრაშვილი/

/ზაზა ზოსიაშვილი/

/კახაბერ ბოჭორიშვილი/

/ ვახტანგ გვენეტაძე/

/კობა რობაქიძე/

/პაატა ბოჭორიშვილი/

/ოლეგი ქარქაშაძე/

/გ. ბოჭორიშვილი/

/უჩა ჩიტიძე/

/რევაზი ყვავაძე/

/გრიგო ჩიხლაძე/